



სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის

საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ეფექტიანობის
ამაღლება პრიორიტეტების განსაზღვრის, შერჩევითი დაფინანსებისა
და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით

Horizon 2020 Policy Support Facility



საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტების განსაზღვრის, დაფინანსების შერჩევისა და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით

ევროპული კომისია

სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი

დირექტორატი A – პოლიტიკის განვითარება და კოორდინაცია

კვლევებისა და ინოვაციების ეროვნული პოლიტიკის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილება

კონტაქტი (H2020 სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის):

დიანა სენცისკინი (Diana Senczyszyn), საქართველოსთვის სპეციალური მხარდაჭერის კოორდინატორი, განყოფილება A4 – diana.senczyszyn@ec.europa.eu

კონტაქტი (H2020 PSF საკოორდინაციო ჯგუფი):

რომან არჯონა (Román ARJONA), ფინანსური დირექტორი და A4 განყოფილების უფროსი - Roman.ARJONA-GRACIA@ec.europa.eu

სტეფან ვანკალკი (Stéphane VANKALCK), PSF სექტორის ხელმძღვანელი, განყოფილება A4 - Stéphane.VANKALCK@ec.europa.eu

დიანა სენცისკინი (Diana SENCZYSZYN), PSF ჯგუფის ლიდერი, განყოფილება A4 - Diana.SENCZYSZYN@ec.europa.eu

ევროპული კომისია

B-1049 ბრიუსელი

ორიგინალი დოკუმენტი დასრულდა 2018 წლის ივნისში

დოკუმენტი მომზადდა ევროპული კომისიისთვის, თუმცა, ის ასახავს მხოლოდ ავტორთა მოსაზრებებს და კომისია ვერ იქნება პასუხისმგებელი წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებულ რაიმე ქმედებაზე.

ევროპული კავშირის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ ინტერნეტში (<http://europa.eu>).

ლუქსემბურგი: ევროპული კავშირის გამომცემლობა, 2018

PDF

ISBN 978-92-79-86944-0

doi: 10.2777/131973

KI-AX-18-007-KA-N

© European Union, 2018.

განმეორებით გამოყენება წყაროს მითითებით დასაშვებია. ევროპული კომისიის დოკუმენტების განმეორებით გამოყენების პოლიტიკა რეგულირდება 2011/833/EU გადაწყვეტილებით (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39).

განმეორებითი გამოყენების ან რეპროდუქციის ნებართვა იმ ფოტოებისა და მასალებისთვის, რომელიც არ არის დაცული ევროკავშირის საავტორო უფლებებით, უნდა იქნას მოპოვებული უშუალოდ საავტორო უფლებების მფლობელისგან. ყდის სურათი © Eurotop.be 2017

სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის

ანგარიში მომზადებულია დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ:

კრისტოფ გულდა (თანა-თავმჯდომარე, პოლონეთი)

მაიკლ შლიხტი (თანა-თავმჯდომარე, გერმანია)

მანფრედ სპისბერგერი (მომხსენებელი, ავსტრია)

მარიან ედევა (გაერთიანებული სამეფო)

მდგომარეობის მიმოხილვა და პოლიტიკური გზავნილები

ბოლო წლებში საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების (R&I) სისტემამ მნიშვნელოვანი რესტრუქტურისა განიცადა. შეიქმნა ახალი შუალედური ორგანოები საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა (SRNSFG) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA), რომლებმაც შეიმუშავეს მიზნობრივი მხარდაჭერის ინსტრუმენტები.

საკმაოდ დაბალი მაჩვენებლიდან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიუჯეტიდან კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსება. საქართველო ასოცირებულია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან „ჰორიზონტი 2020“ და წარმატებითაა ჩართული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული პროგრამები და ღონისძიებები ხელს შეუწყობს სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს გაერთიანებებს ინოვაციური იდეების განვითარებაში, საერთაშორისო თვალსაზრისით, საერთო შედეგი და ხარისხი დაბალი რჩება.

საქართველო ლიდერია ბიზნესის კეთებაში, მაგრამ ჩამორჩება სამეცნიერო კვლევების ეფექტურად განხორციელებაში. ბიზნესისთვის ხელსაყრელი დადგენილებები, საბაზო პირობები და ფინანსური მხარდაჭერა ხელს უწყობს მეწარმეობასა და კერძო ინვესტიციებს. ამის საპირისპიროდ, სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტის სფეროში რიგი რეფორმები ნაწილობრივია განხორციელებული ან დაუმთავრებელია. პრობლემები, როგორცაა ფრაგმენტაცია, ბიუროკრატიზმი, ინოვაციური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების ნაკლებობა, არასაკმარისად განვითარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა ან სუსტი კავშირები სამეცნიერო და ბიზნეს სფეროებს შორის, ზღუდავს საქართველოს მეცნიერულ და ინოვაციურ პოტენციალს და მის კავშირს ეკონომიკასთან.

ამ ფონის დასაძლევად, საქართველოს მთავრობამ მოითხოვა „ჰორიზონტი 2020“ პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის (PSF) დახმარება რეფორმების დასაჩქარებლად სამი მიზნობრივი მიმართულებით:

1. მეცნიერების სფეროში ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება (დარგობრივი, თემატური პრიორიტეტების გამოყოფა);
2. შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით მეცნიერების სისტემის დაფინანსების სქემების შექმნა;
3. მეცნიერებასა და ინდუსტრიას/ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;

ევროკომისიამ (სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი) გამოყო ექსპერტთა დამოუკიდებელი პანელი PSF მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. საბაზისო დოკუმენტების სიღრმისეული ანალიზის, 2017 წლის დეკემბერში და 2018 წლის თებერვალში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, სამიზნე ჯგუფებთან და აქტორებთან ინტერვიუების ფართო სპექტრისა და ეროვნული ხელისუფლებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე პანელის წევრებმა მოამზადეს ანალიზი და რეკომენდაციები, რომელიც მოცემულია ამ ანგარიშში.

PSF-ის მხარდაჭერის აქტის განხორციელებისას ცხადი გახდა, რომ საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემა (STIS) განიცდის **ყოვლისმომცველ პრობლემებს**, რაც განხილული უნდა იყოს მიზნობრივი სფეროების განვითარების საწყის პირობად. ეს ძირითადად ეხება სამ მიმართულებას:

1. **დაფინანსების გეგმა**, მათ შორის, კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსებისა და ჩართული საბიუჯეტო ორგანიზაციების დონე და მოდალურობა. პანელი მიიჩნევს, რომ დაფინანსების დონე, სისტემის მრავალგვარობასა და მასშტაბთან მიმართებაში, ძალიან დაბალია და უნდა მოხდეს მისი სრულყოფა ან საერთაშორისო თანამშრომლობის მოზიდვა. უფრო მეტიც, ის არასაკმარის საფუძველს ქმნის ნაყოფიერი სამეცნიერო-ბიზნეს კავშირების ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციისთვის. გარდა ამისა, STIS-ს აკლია მკვლევართათვის საჭირო დაფინანსების სტაბილურობა და უწყვეტობა, რათა ემყარებოდეს სამართლიან და საბაზისო დაფინანსებასა და კონკურენციაზე დაფუძნებულ შესაძლებლობებს.
2. **კვლევითი ორგანიზაციები** და ზოგადად კვლევის ორგანიზება. კვლევითი ინსტიტუტები არ არიან სრულად ინტეგრირებულები უნივერსიტეტებში, რასაც ორმაგ სისტემამდე მივყავართ. ამგვარი ფრაგმენტაცია ქმნის მკვლევართა, კვლევითი საშუალებებისა და აღჭურვილობის არასაკმარის კრიტიკულ მასას. თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებს, კვლევით ლაბორატორიებსა და სექტორულ კვლევით ერთეულებს შორის უმნიშვნელოა.
3. **კვლევებისა და ინოვაციების ეროვნული სისტემის მართვა**, მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილება და შეფასების რეჟიმი. პრინციპში, პასუხისმგებლობა კვლევებისა და ინოვაციების მმართველობის ფარგლებში, როგორცაა პრიორიტეტული გარემოება და დაფინანსების გადაწყვეტილების მიღება, დეცენტრალიზებულია. თუმცა, ამ ამოცანებზე სამუშაოდ სისტემის შიგნით თავისუფლება და შესაძლებლობები ძალიან მცირეა. ფინანსური შეზღუდვების შედეგად, როგორც ჩანს, უნივერსიტეტის მენეჯმენტს „ადმინისტრირების“ გამოცდილება აქვს და არა „აკადემიური წარმომადგენლობის“. ეს მხოლოდ მცირედით უწყობს ხელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების მიერ სამუშაოს შესრულებას. კვლევის შეფასების რეჟიმი დღესდღეობით აღიქმება, როგორც "უარო" ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც მცირე ღირებულებას მატებს კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობას, მაშინ, როდესაც, გაუმჯობესებული სცენარით, ეს იქნებოდა შესრულების წახალისების გზა.

ეს სამი გამოწვევა მნიშვნელოვანი და ურთიერთდამოკიდებულია. ისინი ზღუდავენ საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის შესაძლებლობებს, გაიზარდონ, გააუმჯობესონ მიზნობრივი სფეროები და გახდნენ უფრო ღია, დინამიური, კონკურენტუნარიანი და გავლენიანი.

რაც შეეხება სამ მიზნობრივ სფეროს, ძირითადი საკითხები რჩება გადასაწყვეტი:

- **პრიორიტეტების განსაზღვრისათვის:** სისტემის მმართველობის - განსაკუთრებით კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს (RIC) რეფორმა; სწორად ფუნქციონირებადი კვლევებისა და ინოვაციების საინფორმაციო სისტემის

ჩამოყალიბება; ფრაგმენტაციის შემცირება (კვლევებისა და ინოვაციების ცენტრების ჩამოყალიბების გზით); კვლევებისა და ინოვაციების პრიორიტეტების ეკონომიკურ პრიორიტეტებთან შეთანხმებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

- **კვლევის შესრულების შესაბამისად დაფინანსების სისტემისათვის (PRFS):** ადეკვატური საბაზო დაფინანსების შემოღება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და კვლევითი ინსტიტუციების მხარდასაჭერად და მათ შორის საფეხურობრივი კავშირის შექმნა; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეფორმის დასრულება უნივერსიტეტებში კვლევითი ინსტიტუტების სრული ინტეგრირების გზით და ქვეყნის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება.
- **სამეცნიერო-ბიზნეს სფეროების კავშირებისთვის:** დაინტერესებულ მხარეთა უკეთესი კოორდინაციისა და ურთიერთშეხვედრის უზრუნველყოფა (სამინისტროები და სააგენტოები); ცოდნის გადაცემისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის გაუმჯობესება (საბროკერო ქსელისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) ხელსაყრელი რეჟიმის საშუალებით); თანაარსებობისა და თანამშრომლობის სტიმულირება კომპეტენციის ცენტრების მეშვეობით; დაფინანსების სქემების მორგება ერთობლივი კვლევებისა და ინოვაციების საჭიროებებზე და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებსა და ბიზნესს სექტორს შორის ადამიანური რესურსების მობილობის გაუმჯობესება.

ამ ანგარიშებიდან გამომდინარე, **პოლიტიკური გზავნილები** შეჯამებულია საკითხების ოთხ ჯგუფად, რომლებსაც საქართველომ უნდა გადახედოს დროთა განმავლობაში:

4 „კ“: კოორდინაცია - კონცენტრაცია - კოლაბორაცია - კავშირი

ამ ანგარიშში ამასთან დაკავშირებით დეტალურად აღწერთ **ოცდასამ რეკომენდაციას**. ამათგან ორი ეხება ყოვლისმომცველ პრობლემებს (დაბალი R&I დაფინანსება და ბიუროკრატიზმი), ხოლო დანარჩენი ამ ანგარიშის მიზნობრივ სფეროებთან დაკავშირებულ პრობლემებს (პრიორიტეტების მინიჭება, შესრულების დაფინანსება, სამეცნიერო-ბიზნეს სფეროების კავშირები). ისინი ერთად ქმნიან ამბიციურ დღის წესრიგს, რომლის მიღწევასაც საკმაოდ დრო დასჭირდება.

საქართველოს STIS-ის სასარგებლოდ, **„საქართველოსთვის 4 „კ“-ს გაძლიერების“ ფარგლებში პანელი დაბეჯითებით ურჩევს შემდეგ ნაბიჯებს:**

1-ლი „კ“ - კოორდინაციის გაძლიერება

- კვლევებისა და ინოვაციების სისტემის პოლიტიკური მმართველობის გაუმჯობესება - კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს როლის გადახედვა და მისი ეფექტიანი გააქტიურება მისი წევრობის გამარტივებისა და სამდივნოს შექმნის მეთოდის შეცვლის გზით.
- სამეცნიერო პრიორიტეტებისთვის კოორდინაციის მექანიზმების შექმნა და ამ მიმართულებით მიზნობრივი რეფორმების გახორციელება.
- საბიუჯეტო R&I შემსრულებლების ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზება - შეფასების შესაბამისი ბაზისური დაფინანსების შემოღება და შესრულების უფრო

მეტად დაჯილდოება, მეცნიერებისა და ინოვაციების წახალისება, გასწიონ რისკი მოთხოვნადი იდეების განსახორციელებლად.

- არასაჭირო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ტვირთის მოშორება და მეცნიერებით დაინტერესებულ მხარეთა მოწოდება, სრულად გამოიყენონ მათი პოტენციალი.

მე-2 „კ“ - კონცენტრაციის გაძლიერება

- R&I პოლიტიკის ქვეყნის საერთო ეკონომიკურ (რეგიონალურ) პოლიტიკასთან შერწყმა.
- ფრაგმენტირებული კვლევის სისტემის კონსოლიდაცია და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (GNAS) რეფორმის დასრულება.
- R&I რესურსების კონცენტრირება - კვლევითი ჯგუფები და ინფრასტრუქტურა.
- კონცენტრირება შეზღუდული რაოდენობის R&I პრიორიტეტებზე.

მე-3 „კ“ - კოლაბორაციის გაძლიერება

- კომუნიკაციისა და კოორდინაციის პლატფორმების შექმნა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩასართავად.
- ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელიოს შემუშავება კვლევებისა და ინოვაციების (R&I) თანამშრომლობის წახალისების მიზნით.
- ადეკვატური ხარისხის ფიზიკური კვლევითი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და მის ირგვლივ ინოვაციაზე ორიენტირებული თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.
- თანამშრომლობის გაძლიერება საბიუჯეტო კვლევით ორგანიზაციებსა და ბიზნესებს შორის.

მე-4 „კ“ - კავშირის გაძლიერება

- მმართველობის (უწყებები) სტრუქტურების კავშირის უზრუნველყოფა: როლების განსაზღვრა სტრატეგიულ, ოპერატიულ და შესრულების დონეებზე.
- საბაზისო ხაზის დაფინანსების თანხვედრა, საბაზისო ხაზის დაფინანსების გახსნა ყველა საბიუჯეტო კვლევითი ორგანიზაციისათვის (უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიები, კვლევითი ინსტიტუტები).
- R&I-ს მხარდაჭერის ბერკეტების კავშირის უზრუნველყოფა: ფრაგმენტაციისა და დუბლიკაციის თავიდან აცილება, კვლევიდან ინოვაციამდე მისვლის უზრუნველყოფა ურთიერთ შეთავსებითა და ლოგიკური ჯაჭვით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ეროვნული სააგენტოს (GITA), „აწარმოე საქართველოში“ (Enterprise Georgia) შორის მხარდაჭერისა და დაფინანსების ღონისძიებების კოორდინაციის უზრუნველყოფა.
- ძლიერი კავშირების გენერირება კვლევებისა და ინოვაციების პრიორიტეტებსა და ეკონომიკურ და სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორის.

ამ ანგარიშში შემოთავაზებული დეტალური რეკომენდაციები მოცემულია სამოქმედო ნაბიჯებით, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტულ მითითებებს.

სამოქმედო გეგმა შეტანილია ანგარიშის დანართში, რომელიც გვიჩვენებს, რომელი რეკომენდაციები უნდა იყოს გათვალისწინებული მოკლე, საშუალო და გრძელვადიან

პერსპექტივაში წარმატების მისაღწევად. ქვემოთ მოცემული ცხრილი N 1 გთავაზობთ ამ სამოქმედო გეგმის შემოკლებულ ვერსიას

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა (შემოკლებული ვერსია)

No	რეკომენდაციები		
	მოკლევადიანი	საშუალო	გრძელვადიანი
თავი 2. საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის (STIS) ყოვლისმომცველი პრობლემები			
1	<u>R&I-ის დაფინანსების გაზრდა</u>		
2	<u>ბიუროკრატის დაძლევა R&I-ში</u>		
თავი 3. კვლევებისა და ინოვაციების (R&I) პრიორიტეტების განსაზღვრა			
3	<u>RIC რესტრუქტურისაცია</u>		
4	<u>R&I-ს საინფორმაციო სისტემის ინიცირება</u>		
5	<u>R&I-ის ეროვნული ცენტრების დაარსება</u>		
6	<u>R&I-ის პრიორიტეტების სტრატეგიულ ეკონომიკურ პრიორიტეტებთან სწორება</u>		
7	<u>R&I-ის სფეროების/დარგების პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმის შემუშავება</u>		
8	<u>პრიორიტეტის შერჩევისთვის სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენება</u>		
9	<u>პრიორიტეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემუშავება</u>		
10	<u>პრიორიტეტების განხორციელება დაფინანსებისა და პოზიტიური სტიმულირების საშუალებით</u>		
თავი 4. კვლევების შესრულების შესაბამისი დაფინანსების სისტემა (PRFS)			
11	<u>დაფინანსების საბაზისო ბაზის შემოტანა და დონების შესაბამისი სფეროს შექმნა</u>		
12	<u>უნივერსიტეტებში კვლევითი ინსტიტუტების სრული ინტეგრირება</u>		
13	<u>სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება</u>		
14	<u>PRFS მმართველობის პასუხისმგებლობების განაწილება</u>		
15	<u>R&I სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა</u>		
16	<u>PRFS-ში მაჩვენებლებისა და კოლეგიალური განხილვების კომბინირება</u>		
თავი 5. სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირება			
17	<u>შესაბამისი სამუშაო ოფისისა და ბროკერების ქსელის შექმნა</u>		

No	რეკომენდაციები		
	მოკლევადიანი	საშუალო	გრძელვადიანი
18	SBL-ში ჩართული მკვლევარებისთვის ნათელი და მარტივი წესებისა და რჩევების მიცემა		
19	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) ხელსაყრელი რეჟიმის უზრუნველყოფა		
20		საექსპერტო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება	
21	R&I დაფინანსების პორტფელის დახვეწა R&D თანამშრომლობისთვის		
22		მხოლოდ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი საგადასახადო სტიმულირება	
23		კვლევების გაცნობა ბიზნესის სასტიპენდიო სქემის PhD სტუდენტებისთვის	

პანელი ხაზს უსვამს, რომ არ არის შეუძლებელი საქართველოში გახდეს მსოფლიო კლასის მკვლევარი ან წარმატებული ინოვაციორი. ქვეყანაში მრავალი წარმატებული კვლევითი ინსტიტუტისა და სამეწარმეო ინიციატივის არსებობა განვითარების კარგ საფუძველს ქმნის და ადასტურებს, რომ საქართველოს მეცნიერებასა და ინოვაციებში ლატენტური პოტენციალი არსებობს.

პანელი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში მეცნიერებისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები რეფორმების მატერიალიზებასა და განხორციელებას ელოდებიან, რათა ქვეყანამ საკუთარი კვლევისა და ინოვაციების პოტენციალის გამოყენება შეძლოს. მნიშვნელოვანია, რომ ამ რეფორმებს თან ახლავს დამატებითი რესურსები და კვლევებისა და ინოვაციების ფონდების გაზრდის უწყვეტი ძალისხმევა, როგორც ბიუჯეტიდან, ისე კერძო წყაროებიდან.

ევროკავშირთან დაკავშირება

პირადად

ევროკავშირში არის ასობით პირდაპირი ევროპის ინფორმაციის ცენტრი. თქვენთან უახლოესი ცენტრის პოვნა შესაძლებელია: <http://europa.eu/contact>

ტელეფონით ან ელ. ფოსტით

პირდაპირი ევროპა არის სერვისი, რომელიც უპასუხებს თქვენს კითხვებს ევროკავშირის შესახებ. სერვისთან დაკავშირება შესაძლებელია

- ტელეფონით: 00 800 6 7 8 9 10 11 (შეიძლება ზოგიერთმა ოპერატორმა დაგაკისროთ ზარის საფასური),
- შემდეგ სტანდარტულ ნომერზე: +32 22999696 ან
- შემდეგი ელ. ფოსტით: <http://europa.eu/contact>

ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მოძიება

ინტერნეტში

ევროკავშირის შესახებ ინფორმაცია ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე ხელმისაწვდომია Europa-ს ვებსაიტზე: <http://europa.eu>

ევროკავშირის გამოცემები

შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ან შეუკვეთოთ ევროკავშირის უფასო და ფასიანი გამოცემები ევროკავშირის წიგნის მაღაზიიდან: <http://bookshop.europa.eu>. უფასო გამოცემების მრავალი ასლის მიღება შეიძლება პირდაპირ ევროპის სერვისთან დაკავშირებით ან თქვენს ადგილობრივ საინფორმაციო ცენტრში (იხილეთ <http://europa.eu/contact>)

ევროკავშირის კანონი და მსგავსი დოკუმენტები

ევროკავშირის იურიდიული ინფორმაციის მოსაპოვებლად, მათ შორის ევროკავშირის ყველა კანონი 1951 წლიდან ყველა ოფიციალურ ენაზე, გადაადით EUR-Lex-ის საიტზე: <http://eur-lex.europa.eu>

ევროკავშირის ღია მონაცემები

ევროკავშირის ღია მონაცემების პორტალი (<http://data.europa.eu/euodp/en/data>) უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის მონაცემთა პაკეტებზე. მონაცემების ჩამოტვირთვა და განმეორებითი გამოყენება შეიძლება უფასოდ, როგორც კომერციული, ასევე, არაკომერციული მიზნებისთვის.

„ჰორიზონტი 2020“ პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტი (PSF), ჩამოყალიბდა ევროპული კომისიის კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატის (DG RTD) მიერ ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, ეხმარება წევრ ქვეყნებსა და ჰორიზონტი 2020 ასოცირებულ ქვეყნებს მათი ეროვნული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური სისტემების რეფორმებში.

ევროპის კვლევებისა და ინოვაციების დამოუკიდებელი ექსპერტების პანელის მიერ 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მაისამდე ჩატარებული „სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის PSF“ პროგრამის მიზანი იყო მიეწოდებინა ზუსტად მორგებული რჩევები და კონკრეტული რეკომენდაციები რეფორმების შესახებ, რომლებიც საჭიროა ქვეყნის კვლევებისა და ინოვაციების სისტემის გაუმჯობესებისა და გაძლიერებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ მოთხოვნილ სამ კონკრეტულ სფეროში.

„სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის PSF“ პროგრამის საბოლოო ანგარიში იძლევა საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის წინაშე საკვანძო გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას და წინ წამოწევს რჩევებს მისი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტების განსაზღვრის, დაფინანსების შერჩევითობისა და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით.

